გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
განკარგულება № 81

2023 წლის 15 მაისი

გორი

გორის მუნიციპალიტეტში 2023 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით გორის მუნიციპალიტეტში იგეგმება ინფრასტრუქტურული პროექტები.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობების და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გორის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასაფინანსებელი პროექტები თანდართული დანართი N1 (1 ფურცლად) შესაბამისად.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, ს.ჯორბენაძის ქ. #30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

გორის მუნიციპალიტეტი

დანართი N 1

საპროექტო წინადადება

N	საპროექტო წინადადების დასახელება	შენიშვნა
1	2	3
1	სოფელ ტყვიავში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	
2	სოფელ ახრისში მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	

გორის მუნიციპალიტეტის მერი

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი